სტუდენტური ცხოვრების სოციალური განზომილება ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში

ევროსტუდენტის მეშვიდე ტალღიდან (2019 წელს) შერჩეული ინდიკატორები

eurostudent.eu



დდაფინანსებულია კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყნის მიერ. თანადაფინანსებულია ევროკავშირის ერასმუს+ პროგრამისა და მასში შემავალი ორგანოების მიერ

Federal Ministry of Education and Research

Ministry of Education, Culture and Science of the Netherlands

დამფინანსებლები არ არიან დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელნი

პროექტის სპონსორები

პროექტი დაფინანსდა კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყნის მიერ. ეს ქვეყნებია: ალბანეთი, ავსტრია, ხორვატია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, შვედეთი, შვეიცარია და თურქეთი.

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის ერაზმუს+ -ის პროგრამის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების ხედვებს და კომისია არ არის პასუხისმგებელი კვლევაში მოცემული ინფორმაციის გამოყენებაზე.

Federal Ministryof Education and Research

პროექტი დაუკვეთა და ფინანსურად უზრუნველყო გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალურმა სამინისტრომ (Bundesministerium für Bildung und Forschung, BMBF, grant agreement no. M529000).

Ministry of Education, Culture and Science of the Netherlands

პროექტს ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ნიდერლანდების განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტრომ (MinOCW).

ავტორები: Kristina Hauschildt,
Christoph Gwosć,
Hendrik Schirmer,
Froukje Cras

დიზაინი: Pärtel Eelmere

პრინტი: ThinkPrint

ნაშრომი ლიცენზირებულია Creative Commons Attribution-ShareAlike 4.0 International License- ის მიერ. ამ ლიცენზიის ასლის სანახავად, ეწვიეთ შემდეგ ბმულს: http://creativecommons. org/licenses/by-sa/4.0/ ან გააგზავნეთ წერილი Creative Commons-ში, მისამართი: PO Box 1866, Mountain View, CA 94042, USA.

საკონტაქტო ინფორმაცია: www.eurostudent.eu
ელ-ფოსტა: eurostudent@dzhw.eu

Dr. Kristina Hauschildt International project coordinator
DZHW – German Centre for Higher Education Researchand Science Studies
Lange Laube 12
30159 Hanover, Germany

კონსორციუმის წევრები

DZHW · Institut für Höhere Studien / Institute for Advanced Studies Vienna · ResearchNed · Strata · praxis | think tank · National Commission for Further and Higher Education Malta · Schweizerische Eidgenossenschaft / Confédération suisse / Confederazione Svizzera / Confederaziun svizra

წინასიტყვაობა

რომის კომუნიკესთვის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) სტუდენტთა სოციალური მდგომარეობის საკითხი კვლავ აქტუალურია, ხოლო ბოლონიის პროცესის დროს შემუშავებული "სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პრინციპები და გაიდ-ლაინები უმაღლეს განათლებაში" ეხმარება EHEA-ს ქვეყნებს, სტრუქტურებისა და სტრატეგიების ჩამოყალიბებაში, რათა შეიქმნას ინკლუზიური გარემო ყველა მოწყვლადი, შეჭირვებული და ნაკლებად წარმოჩენილი სტუდენტისთვის. ამ გზით ხდება ევროპის სტუდენტთა პოპულაციის ჰეტეროგენული, მრავალფეროვანი სახის წარმოჩენა.

მოცემული პუბლიკაციით "ევროსტუდენტს" სურს წვლილი შეიტანოს არსებულ დისკუსიაში ისეთი ინდიკატორების წარმოდგენით, რომლებიც ასახავს მონაწილე ქვეყნების სოციალური ცხოვრების მიმდინარე პროცესებს. „ევროსტუდენტის" მონაცემების უნიკალურობა მდგომარეობს თანასწორობასა და ევროპის უმაღლესი განათლების სოციალური განზომილების განსხვავებულ და მრავალპროფილიან გააზრებაში. პუბლიკაციაში წარმოდგენილი ინდიკატორები ოთხ მნიშვნელოვან სფეროს მოიცავს: სტუდენტების დემოგრაფიული და სოციალური სფერო, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა და სკოლიდან უსდ-ში გადასვლის პერიოდის ხანგრძლივობა, სტუდენტთა დასაქმება და სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობა. რა ხარისხით შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა გამოცდილების მქონე სტუდენტების სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში? რამდენად ღია და სტუდენტებზე მორგებულია ევროპის უმაღლესი განათლების სისტემა? რამდენად ხელმისაწვდომია იგი განსხვავებული წარსული გამოცდილების მქონე და ცხოვრების განსხვავებულ ეტაპზე მყოფი სტუდენტებისთვის? რა გარემოში უწევთ სტუდენტებს სწავლა და რას აკეთებენ იმისთვის, რომ ფინანსურად იმდენად სტაბილურად იყვნენ, რომ დაფარონ ყოველდღიური ხარჯები? დაბოლოს, „ევროსტუდენტის" მონაცემები ასევე გვიჩვენებს სტუდენტების დროის ბიუჯეტს და დასაქმებას; ასევე, რა ფინანსურ წინააღმდეგობებს აწყდებიან ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში სტუდენტები, და რამდენად მოწყვლადია სტუდენტთა სხვადასხვა ქვეჯგუფი.

წარმოდგენილი ინფორმაცია იმ ფაქტის მნიშვნელოვნებას უსვამს ხაზს, თუ რამდენი ასპექტია გასათვალისწინებელი უმაღლეს საგანმანათლებო სისტემაში იმისათვის, რომ განვითარდეს სოციალური სფერო. იმედი გვაქვს, რომ „ევროსტუდენტის" პუბლიკაცია დააინტერესებს მკითხველს და მათ საჭირო ინფორმაციას მიაწვდის იმ დისკუსიებზე, რომელებიც ბოლონიის პროცესის დროს იმართება და ასევე, დაეხმარება ქვეყნებს სოციალური სფეროს განვითარების სტრატეგიების შექმნაში.

„ევროსტუდენტის“ კვლევა

„ევროსტუდენტი“ არის ქსელი, რომელიც აერთიანებს მკვლევარებს, მონაცემთა შემგროვებელ პირებს, ადგილობრივ სამინისტროებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც ერთიანდებიან იმ მიზნით, რომ ევროპის უმაღლესი განათლების სისტემებში გაზომონ სტუდენტთა სოციალური და ეკონომიკური პირობები. „ევროსტუდენტის“ კვლევა წარმოადგენს ევროპის უმაღლეს განათლებაში სტუდენტთა სოციალური განზომილებისა და მობილობის მონაცემების ფართო, ქვეყანათაშორის არსებულ შედარებებს. სტუდენტთა პირდაპირი გამოკითხვით და მონაცემების შეგროვების გზით, „ევროსტუდენტის“ კვლევა წარმოაჩენს ინდიკატორებს, რომლებიც სტუდენტთა ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. მთავარი საკვლევი საკითხებია სტუდენტთა სოციალური ფონი, მათი სასწავლო პირობები, გამოცდილება და საცხოვრებელი პირობები.

ევროსტუდენტის პუბლიკაციები

ევროსტუდენტის პროექტის მიგნებები და შედეგები სხვადასხვა ფორმატშია ხელმისაწვდომი:

- პროექტის მთავარი პუბლიკაცია არის ევროსტუდენტის ინდიკატორების სინოფსისი, რომელიც ფართომასშტაბიან შედარებით პერსპექტივას იყენებს მოცემული საკითხების გააანალიზებისთვის.

- ამასთან ერთად, ევროსტუდენტი აქვეყნებს თემატურ მიმოხილვებს, რომლებიც ძირფესვიანად იკვლევს სპეციფიკურ საკითხებს. უახლესი თემატური მიმოხილვა ეხება სტუდენტთა დასაქმება-სწავლის შეთავსების საკითხს.

- ყველასთვის ხელმისაწვდომი ევროსტუდენტის ონლაინ ბაზა მოიცავს ყველა ინდიკატორს, რომელიც ეროვნულ კვლევებშია გამოყენებული. ბაზის გამოყენება შეუძლიათ როგორც მკვლევარებსა და პოლიტიკოსებს, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. მიმდინარე პროექტში პირველად იქმნება “მეცნიერთა სამუშაო ფაილი” (Scientific Use File (SUF)).

- ევროსტუდენტის ინტელექტუალური მიმოხილვები არის ძალიან მოკლე, იგი ხელს უწყობს დოკუმენტების წარმოდგენას და განმარტავს საკითხებს, რომლებიც ევროსტუდენტის ბაზაშია მოცემული.

- უმეტესწილად, ეროვნული გუნდები აქვეყნებენ ეროვნულ ანგარიშებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გააანალიზებას კონკრეტულ ქვეყანაში. ყველა შედეგი, ისევე როგორც მთლიანი ბაზა ხელმისაწვდომია ევროსტუდენტის ვებ-გვერდზე www.eurostudent.eu. ევროსტუდენტის მიმდინარე ტალღის შედეგები და პუბლიკაციები 2021 წლის ზაფხულისთვის გამოქვეყნდება.

„ევროსტუდენტის“ ქსელი

პროექტის მიმდინარე, მეშვიდე ტალღაში, ოცდაექვსმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა და მათ ჩაატარეს კვლევა თავიანთ სტუდენტებზე. „ევროსტუდენტის“ კონსორციუმი და 26 მონაწილე ქვეყანა ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა შეაგროვონ და გადაამუშაონ სტუდენტთა სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შედარებითი მონაცემები და გააკეთონ მათი ინტერპრეტაცია. ცენტრალური კოორდინაცია მხარდაჭერილია კონსორციუმის უცხოელი პარტნიორების მიერ.



AL Albania
AT Austria
CH Switzerland
CZ Czech Republic
DE Germany
DK Denmark
EE Estonia
FI Finland
FR France
GE Georgia
HR Croatia
HU Hungary
IE Ireland
IS Iceland
IT Italy
LT Lithuania
LU Luxembourg
MT Malta
NL The Netherlands
NO Norway
PL Poland
PT Portugal
RO Romania
SE Sweden
SI Slovenia
TR Turkey

ევროსტუდენტის კონსორციუმი შვიდი წევრი ორგანიზაციისგან შედგება.

DZHW German Centre for Higher Education Research and Science Studies
Institut für Höhere Studien / Institute for Advanced Studies Vienna
ResearchNed www.researchned.nl
Strata
praxis think tank
National Commission for Further and Higher Education Malta
Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

ტექნიკური შენიშვნები:

პუბლიკაციაში წარმოდგენილია წინასწარი მონაცემები, რომლებიც ეფუძნება „ევროსტუდენტის“ მეშვიდე ტალღაში მონაწილე ქვეყნების მიერ 2019 წელს ჩატარებულ ეროვნულ კვლევებს.

პუბლიკაციაში ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი მონაცემები, რომლებიც პროექტში მონაწილე ქვეყნებმა 2020 წლის საველე ფაზიდან მიიღეს. მეშვიდე ტალღის სრული მონაცემები გამოქვეყნდება 2021 წლის ზაფხულში.

სტუდენტების ასაკი



ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში სტუდენტების ასაკი სტუდენტების პოპულაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშანია. უმაღლესი განათლების სისტემებში არსებული განსხვავებული პირობების შედარებისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია სტუდენტების ასაკი.

საშუალოდ, „ევროსტუდენტში“ მონაწილე ქვეყნების სტუდენტების 63% არის 25 წელს ქვემოთ. საქართველოსა და ნიდერლანდებში სტუდენტების საშუალო ასაკი მერყეობს 22-დან 24 წლამდე. ნორვეგიაში, ისლანდიასა და ფინეთში - 28-დან 30 წლამდე. საქართველოსა და ნიდერლანდებში სტუდენტების 75%-ზე მეტი 25 წელზე ნაკლებისაა, ხოლო ნორვეგიაში, ისლანდიასა და ფინეთში ამ ასაკობრივ ჯგუფს სტუდენტების 50%-იც არ წარმოადგენს: პოპულაციის ყველაზე დიდ ასაკობრივ ჯგუფს 30 და 30 წელს ზემოთ სტუდენტები წარმოადგენენ - ამ ქვეყნების სტუდენტთა დაახლოებით მესამედმა უკვე საკუთარი 30 წლის დაბადების დღე აღნიშნა.

ზოგადად, „ევროსტუდენტში“ მონაწილე ქვეყნების შედარებით უფრო ასაკოვანი სტუდენტები მიეკუთვნებიან იმ ჯგუფებს, რომლებმაც დაგვიანებით დაიწყეს უმაღლესი განათლების მიღება ან გამოიყენეს რაიმე ალტერნატიული გზები უსდ-ში მოსახვედრად. ასევე ამ ჯგუფებს მიეკუთვნებიან სტუდენტები, რომელთა მშობლებსაც არ აქვთ უმაღლესი განათლება მიღებული - ისინი ან დაგვიანებით ან ალტერნატიული გზებით ხვდებიან უსდ-ებში, რის გამოც თავიანთ ჯგუფელებთან შედარებით უფრო ასაკოვნები არიან „ევროსტუდენტის“ ყველა მონაწილე ქვეყნაში, გარდა საქართველოსა. კვლევის მიხედვით ასაკოვანი სტუდენტების განმასხვავებელი ნიშანი ისიცაა, რომ უმეტესწილად ისინი არ ცხოვრობენ საკუთარი მშობლების სახლში და უფრო მეტად არიან საკუთარ შემოსავალზე დამოკიდებულნი, ვიდრე - მშობლებზე ან სახელმწიფო დახმარებაზე.

სტუდენტები 25 წელს ქვემოთ
სტუდენტებს საერთო რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით



წყარო: ევროსტუდენტი VII

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები

ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, შესაძლებლობა მისცეს სპეციალური საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს, მიიღოს უმაღლესი განათლება. შეზღდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები ხშირად აწყდებიან სპეციფიკურ ბარიერებს უსდ-ში ჩაბარების, სწავლისა და დამთავრებისას. „ევროსტუდენტის“ ინდიკატორები გვაწვდის ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების, ხანგრძლივი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტების და ფუნქციური შეზღუდვების მქონე სტუდენტების პრობლემებსა და მნიშვნელოვან შეზღუდვებზე უსდ-ებში სწავლის დროს. ესტონეთში, უნგრეთსა და საქართველოში სტუდენტების 10%-ზე ნაკლები მიაკუთვნებს საკუთარ თავს ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს. ფინეთში, ისლანდიაში, ნიდერლანდებსა და შვედეთში კი სტუდენტების სულ მცირე 20% აღნიშნავს, რომ მსგავს ჯგუფს მიეკუთვნება.

„ევროსტუდენტის“ მონაცმები აჩვენებს, რომ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ყოველთვის ვერ სთავაზობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს შესაბამის გარემოს. მონაწილე ქვეყნებს შორის გამოკითხული სტუდენტებიდან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ მათი ადგილი უმაღლეს განათლებაში არ არის - ძირითადად არიან სტუდენტები შეზღდული შესაძლებლობებით და არა ისინი, ვინც ამ ჯგუფს არ მიეკუთვნება. საშუალოდ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების 25% ფიქრობს, რომ მისი ადგილი უსდ-ებში არ არის. პროცენტულად ეს მაჩვენებელი 11%-ით აღემატება შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე სტუდენტებს, რომლებიც თვლიან, რომ მათი ადგილი უსდ-ში არ არის. ასეთი განსხვავება ყველაზე მეტად შეიმჩნევა ირლანდიაში, ისლანდიაში, ლიეტუვაში, დანიაში, მალტასა და ესტონეთში, სადაც მინიმუმ 2-ჯერ მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი თავის თანატოლებთან შედარებით ეჭვქვეშ აყენებს საკუთარ უმაღლეს განათლებასთან მიკუთვნებულობას.



სტუდენტების საერთაშორისო ფონი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატების და მიმზიდველობის ერთ-ერთი საზომი საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობაა - მაგ., სტუდენტები, რომლებიც სპეციალურად სასწავლებლად გადმოსახლდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში. სოციალური ინკლუზიის საკითხია ის, თუ რამდენად შეუძლია უსდ-ს მიიღოს და წარმატებულად მართოს ისეთ სტუდენტთა სწავლა, რომლებსაც მიგრაციის ისტორია აქვთ - მაგ., ერთი მშობელი მაინც ჰყავთ სხვა ქვეყანაში დაბადებული, მაგრამ სწავლა დამთავრებული აქვს იმ ქვეყანაში (სადაც ამჟამად სტუდენტი შვილი სწავლობს).

უმეტესწილად, „ევროსტუდენტის“ კვლევაში მონაწილე ქვეყნებში სტუდენტების 70%-ს არ აქვს მიგრაციის ისტორია და მათ განათლება მიღებული აქვთ იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადნენ. ესენი არიან ადგილობრივი სტუდენტები, რომელთა მშობლებიც იმავე ქვეყანაში დაიბადნენ, სადაც კვლევა მიმდინარეობს. პოლონეთში, საქართველოსა და ლიტვაში ასეთი სტუდენტების პროცენტული წილი 90%-ს აღემატება. ირლანდიასა და ლუქსემბურგში კი ეს მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება და სტუდენტების მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტი არის მიგრაციის ისტორიის გარეშე. ამ განსხვავებას ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის იძლევიან საერთაშორისო სტუდენტები, რომლებიც სწავლის მიზნით ცხოვრობენ ირლანდიასა და ლუქსემბურგში (სტუდენტები, რომლებიც სხვა ქვეყნის მოქალაქენი არიან და უცხოური ატესტატი აქვთ). ავსტრიაში, ლუქსემბურგსა და ირლანდიაში ყველაზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს - სტუდენტების 15%-ზე მეტი სასწავლებლად გადადის ამ ქვეყნებში. ასევე, ლუქსემბურგი, ირლანდია და ნორვეგია არის ქვეყნები, სადაც ყველაზე მეტი პირველი თაობის მიგრანტები სწავლობენ უსდ-ებში (მაგალითად სტუდენტები, რომლებიც სხვა ქვეყანაში იყვნენ დაბადებულნი, მაგრამ განათლება მიიღეს ამ ქვეყნებში) - მათი წილი დაახლოებით 5%-ია. მეორე თაობის მიგრანტების (მეორე თაობის მიგრანტებად ითვლებიან სტუდენტები, რომლებიც იმ ქვეყანაში დაიბადნენ და აქვთ მოქალაქეობა, სადაც კვლევაში იღებენ მონაწილეობას, თუმცა მათი ერთი მშობელი მაინც სხვა ქვეყნიდან არის მიგრირებული) ყველაზე დიდი წილიმათი ერთი მშობელი მაინც სხვა ქვეყნიდან არის მიგრირებული) ყველაზე დიდი წილი სწავლობს ხორვატიაში, ესტონეთში, ნიდერლანდებში, სლოვენიაში, ირლანდიასა და ლუქსემბურგში. მეორე თაობის მიგრანტების წილი თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანაში დაახლოებით 10%-ია.

სტუდენტები მიგრაციის ისტორიის გარეშე
სტუდენტთა საერთო რაოდენობის წილი, რომელთაც მიგრაციის ისტორია არ აქვთ და არც მათი მშობლები არიან მიგრირებულნი



სტუდენტების საგანმანათლებლო ფონი



კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე ძლიერ გავლენას ახდენს მშობლების/მეურვეების განათლების ხარისხი.

„ევროსტუდენტის“ მონაცემები სტუდენტების საგანმანათლებლო ფონის თვალსაზრისით ძალიან მდიდარია. სტუდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება არ აქვს მიღებული, სწავლობენ მალტაში, ხორვატიაში, პოლონეთში, ჩეხეთსა და ლუქსემბურგში - ამ ქვეყნებში ასეთ ჯგუფში შემავალ სტუდენტთა რაოდენობა 50%-დან 66%-მდე ფარგლებში მერყეობს. შვედეთში, ფინეთში, ესტონეთში, დანიასა და ნორვეგიაში კი ასეთი სტუდენტების რიცხვი მხოლოდ 25%-დან 33% -მდე მერყეობს. აშკარაა, რომ ამ ქვეყნებში გაცილებით მეტია ისეთი სტუდენტების რიცხვი, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული.

სტუდენტები, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება არ აქვთ მიღებული, როგორც წესი, უფრო ასაკოვნები არიან და ხშირად მიეკუთვნებიან იმ ჯგუფებს, რომლებმაც უსდ-ებში არატრადიციული, განსხვავებული გზებით ჩააბარეს. ამასთან, შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ასეთი სტუდენტები უსდ-ებში სკოლის დამთავრებიდან ორ ან მეტ წელში აბარებენ. ქვეყნების უმეტესობაში სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ საგანმანათლებლო ფონი (მათ მშობლებს არ მიუღიათ უმაღლესი განათლება), უფრო ხშირად აბარებენ არა უსდ-ში არამედ პროფესიულ სასწავლებელში, მოკლევადიან სასწავლებელში ან საბაკალავრო პროგრამაზე, ვიდრე - სამაგისტრო პროგრამაზე. უმეტწილად, ისინი სწავლას უთმობენ უფრო ნაკლებ დროს, რადგან ისინი უფრო მეტ დროს უთმობენ დასაქმებას, დასაქმება კი სჭირდებათ სწავლის თანადაფინანსებისთვის. ქვეყნების უმეტესობაში სტუდენტები, რომლებსაც საგანმანათლებლო ფონი არ აქვთ, უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი სოციალურ დახმარებებზე და საკუთარ შემოსავალზე, ვიდრე - ოჯახზე.

საგანმანათლებლო ფონის არ მქონე სტუდენტები (ISCED 0-4)
სტუდენტეთა პროცენტული წილი, რომელთა მშობლების/მეურვეების განათლების დონე
ISCED-ის კლასიფიკაციის მიხედვით არ აღემატება 0-4 დონეს



იმ სტუდენტთა რეპრეზენტაცია, რომელთაც არ აქვთ საგანმანათლებლო ფონი

სტუდენტები, რომლებსაც დაბალი საგანმანათლებლო ფონი აქვთ ყველაზე ნაკლებად არიან წარმოდგენილნი უმაღლეს განათლებაში „ევროსტუდენტის“ თითქმის ყველა ქვეყანაში. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ „ევროსტუდენტის“ კვლევაში მონაწილე იმ სტუდენტების, რომელთა მამების განათლების ხარისხი არ აღემატება ISCED-ის კლასიფიკაციის მიხედვით 0-დან 4-მდე მაჩვენებელს, მხოლოდ 80% სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გრაფიკზე შედარებისთვის წარმოდგენილია იმ სტუდენტების წილი, რომელთა მამებსაც არ აქვთ უმაღლესი განათლება (მათი განათლების ხარისხი არ აღემატება ISCED-ის კლასიფიკაციის მიხედვით 0-დან 4-ს) და ასევე იმ 40-59 წლის მამაკაცების წილი პოპულაციაში, რომელთაც ასევე არ აქვთ უმაღლესი განათლება. თანაბარი პოზიციების წილები გრაფიკზე წარმოდგენილია დიაგონალით (ინდექსის მნიშვნელობა 1). ინდექსი 1 გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში ზუსტად იმდენივე საგანმანათლებლო ფონის არმქონე სტუდენტია, რამდენიც მოსალოდნელია იქნებოდა განათლების ხარისხის არ მქონეთა პოპულაციაში დისტრიბუციით. 1-ს ზემოთ არსებული მნიშვნელობები, რომელიც მდებარეობს დიაგონალის ზემოთ - წარმოადგენს წარმომადგენლობის მაღალ ხარისხს, ხოლო 1-ს ქვემოთ მაჩვენებლები, რომლებიც წარმოდგენილია დიაგონალის ქვემოთ, ასახავს სტუდენტებს, რომლებიც არ არიან წარმოჩენილნი. პოპულაციების მონაცემების შედარებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვადასხვა ფაქტორმა, მაგ.,სტუდენტების მშობლების ასაკობრივმა გადანაწილებამ, ქვეყანაში არსებულმა რეპროდუქციულმა მოდელებმა და ასევე, საერთაშორისო სტუდენტების წილმა მოცემულ ქვეყანაში. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ ქვეყანაში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და ასევე განსხვავდებოდეს მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამებიც (იხილეთ წინა გვერდი).

სტუდენტები, რომელთაც არ აქვთ საგანმანათლებლო ფონი (რომელიც გაზომილია მამების განათლების ხარისხის მიხედვით) შედარებით კარგად არიან წარმოდგენილნი ირლანდიაში, მალტასა და ლიტვაში. ამ ქვეყნებში იმ სტუდენტთა წილი, რომლებსაც არ აქვთ საგანმანათლებლო ფონი და უსდ-ებში ირიცხებიან, არის მინიმუმ 90% იმ რაოდენობიდან, რომელიც მოსალოდნელი იყო მათი მამათა თაობის განათლების ხარისხის კვლევის შედეგად. ისლანდიასა და ლუქსემბურგში საგანმანათლებლო ფონის არმქონე სტუდენტთა წილი საკმაოდ მაღალი ან გადაჭარბებულად მაღალი წარმომადგენლობის ხარისხით გამოირჩევა: სტუდენტთა რაოდენობა, რომელთა მამებსაც არ აქვთ განათლების ხარისხი მიღებული ტოლია ან აღემატება სტუდენტების იმ რაოდენობას, რომელიც მოსალოდნელი იყო პოპულაციის მონაცემების გაანალიზების შედეგად. ესტონეთში, დანიაში, უნგრეთსა და ნორვეგიაში იმაზე 25%-ით ნაკლები საგანმანათლებლო ფონის არმქონე სტუდენტი ირიცხება უსდ-ში, ვიდრე - პოპულაციის მონაცემების გაანალიზების შედეგად იყო მოსალოდნელი.



სტუდენტების უსდ-სთან მიკუთვნებულობის განცდა საგანმანათლებლო ფონის მიხედვით



სტუდენტებმა, რომელთაც არ აქვთ საგანმანათლებლო ფონი, შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში თავი კომფორტულად ვერ იგრძნონ. „ევროსტუდენტის“ მონაცემები აჩვენებს რამდენად არიან ინტეგრირებული განსხვავებული საგანმანათლებლო ფონის მქონე სტუდენტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში და რამდენად განსხვავებულია ეს მონაცემები სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით. სტუდენტები, რომლებსაც დაბალი საგანმანათლებლო ფონი აქვთ (ISCED 0-2) საშულოდ, უფრო ხშირად არ მიაკუთვნებენ თავს უმაღლესი განათლების სფეროს, ვიდრე მათი თანატოლები, რომელთაც საშუალო (ISCED 3-4) ან მაღალი საგანმანათლებლო ფონი (ISCED 6-8) აქვთ. ზოგადად, სტუდენტები, რომელთა მშობლებსაც ყველაზე დაბალი განათლების ხარისხი აქვთ მიღებული, ხშირად აქვთ უსდ-სთან მიკუთვნებულობის განცდის დაბალი ხარისხი, განსხვავებით იმ სტუდენტებისგან, რომელთა მშობლებსაც მაღალი ხარისხის განათლება აქვთ მიღებული.

ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემია ხორვატიის, საქართველოსა და ლიტვის მონაცემებში: სტუდენტების საერთო რაოდენობიდან, რომლებსაც არ აქვთ უსდ-სთან მიკუთვნებულობის განცდა, იმ სტუდენთა წილი, რომელთაც დაბალი საგანმანათლებლო ფონი აქვთ, 10%-ით მეტია. ჩეხეთში, ირლანდიაში, შვედეთში, დანიასა და ესტონეთშიც შეიმჩნევა ასეთი ტენდენცია, თუმცა უფრო ნაკლებად, ვიდრე ლიტვაში, საქართველოსა და ხორვატიაში. პოლონეთში, ისლანდიაში, სლოვენიაში და ფინეთში ეს განსხვავება დაბალი საგანმანათლებლო ფონის სტუდენტებსა და მაღალი საგანმანათლებო ფონის სტუდენტებს შორის ძალიან მცირეა (არაუმეტეს 3%-ისა). საბოლოოდ კი უნგრეთში, მალტასა და ნორვეგიაში ეს ტენდენცია არც ისე ზუსტია, რადგან ამ ქვეყნებში ყველაზე მეტად თავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ის სტუდენტები არ მიაკუთვნებენ და ეჭვქვეშ აყენებენ თავიანთ მიკუთვნებულობას, რომლებსაც საშუალო ან მაღალი საგანმანათლებლო ფონი აქვთ.

სტუდენტების თვითმიკუთვნებულობა საგანმანათლებლო ფონის ჭრილში
(პროცენტული მაჩვენებელი)



სკოლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრანზიციის ხანგრძლივობა

როგორც პარიზის ბოლო კომუნიკეზე(2018) გაცხადდა, ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში ყველაზე დიდ გამოწვევად ისევ უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველოყოფა რჩება. EHEA-ს ერთ-ერთი მიზანი სოციალური მობილობა და უწყვეტი პროფესიული განათლებაა ცხოვრების ნებისმიერ საფეხურზე. სკოლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პერიოდი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია იმისთვის, რომ გაიზომოს რამდენად ღია და ხელმისაწვდომია განათლების სისტემა ყველასთვის. EHEA-ში სტუდენტთა უმრავლესობა სკოლიდან უსდ-ში გადადის ძალიან მოკლე პერიოდში: დაახლოებით სტუდენტთა ორი მესამედი (67%) 1 წელზე ნაკლებს ანდომებს სკოლიდან უსდ-ში გადასვლას, და 17% კი - ორ წელს. „ევროსტუდენტში“ მონაწილე ქვეყნებიდან ჯამში ყოველი მეექვსე სტუდენტი შესაძლებელია ჩაითვალოს “დაგვიანებულ სტუდენტად”, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ დასჭირდათ 2 წელზე მეტი სკოლიდან უსდ-ში გადასასვლელად (17%). სტუდენტთა ყველაზე დიდი წილი, რომლებმაც ორ წელზე მეტი მოანდომეს სკოლიდან უნივერსტეტში გადასვლას, სწავლობენ შვედეთში, ფინეთში, ავსტრიასა და ისლანდიაში. ამ ქვეყნებში სტუდენტთა დაახლოებით მეოთხედი ან მესამედი “დაგვიანებულ სტუდენტად” ითვლება. ამის საწინააღმდეგოდ, ასეთი სტუდენტების 10%-ზე ნაკლები სწავლობს ჩეხეთში, ლუქსემბურგში, სლოვენიასა და საქართველოში.

სკოლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრანზიციის ხანგრძლივობა
(სტუდენთა პროცენტული მაჩვენებელი)



უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ტრანზიციის პერიოდი ზოგადი განთლების ფონზე

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებას გადაავადებენ, ანუ სკოლის დამთავრებიდან ორ წელზე მეტს ანდომებენ უსდ-ში ჩაბარებას უმეტესწილად ის სტუდენტები, რომელთაც არ აქვთ საგანმანათლებლო ფონი. ყველა ქვეყნის მონაცემების მიხედვით განათლების დიფერენცირება გვაჩვენებს, რომ უმეტესობა იმ სტუდენტთაგან, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება არ აქვთ მიღებული, უსდ-ში დაგვიანებით აბარებს. საშუალოდ ქვეყანათა შორის შედარებისას ჩანს, რომ საგანმანათლებლო ფონის არ მქონე სტუდენტების წილი (23%) უსდ-ში დაგვიანებით ჩაბარებისას 10%-ით მეტია იმ სტუდენტების წილზე, რომელთაც საგანმანათლებლო ფონი აქვთ (13%).

უსდ=ში „დაგვიანებული სტუდენტები“

სტუდენტები, რომელთაც სკოლის დამთავრების შემდეგ 24 თვეზე მეტი დრო დასჭირდათ უსდ-ში ჩასაბარებლად (სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი)



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსახვედრი გზების მოქნილობა

ხელმისაწვდომობის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორია მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია უსდ-ში მოსახვედრად. როგორც წესი, უმეტეს ქვეყნებში უსდ-ებს სტანდარტული მოთხოვნები აქვთ, მაგ., მატურა, აბიტური ან ბაკალავრის ხარისხი. უსდ-ში ჩაბარებისთვის საჭირო ეს დოკუმენტები, ჩვეულებრივ, მიიღება საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ახალგაზრდა ასაკში. თუმცა, ბევრ საგანმანათლებლო სისტემაში, პიროვნებამ ამ ტიპის კვალიფიკაცია შეიძლება მიიღოს სხვა გზითაც, რეგულარული სკოლის სისტემის გარეთ - მაგ., საღამოს სკოლებში, ან ჩაანაცვლოს სხვა შეძენილი უნარ -ჩვევებითა და კომპეტენციებით,- მაგ., სამუშაო გამოცდილებით. „ევროსტუდენტის“ კვლევა განასხვავებს იმ სტუდენტებს, რომლებმაც სტანდარტული გზებით ჩააბარეს უსდ-ში, სკოლის დამთავრებისთანავე (ხელმისაწვდომობის სტანდარტული გზა) და იმ სტუდენტებს, რომლებმაც ჩააბარეს უსდ-ში არასტანდარტული გზით ან დაგვიანებით (ხელმისაწვდომობის ალტერნატიული გზა). ამით “ევროსტუდენტს“ სურს, რომ აჩვენოს უმაღლესი განათლების სისტემის მოქნილობის განსხვავებული ასპექტები ხელმისაწვდომობის კუთხით.

საშუალოდ, სტუდენტების 8% უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა ხელმისაწვდომობის ალტერნატიული გზებით. თუმცა ქვეყანათა შორის შედარებისას ასეთი სტუდენტების რაოდენობა ძალიან განსხვავებულია: ხელმისაწვდომობის ალტერნატიული გზებით უსდ-ში ჩარიცხული სტუდენტების წილი ლიტვაში და საქართველოში მერყეობს 2%-მდე, ხოლო მალტაში 25%-მდე.

თუ გავითვალისწინებთ უსდ-ში ჩაბარების გზებს, ხელმისაწვდომობის ტიპებს, ჩაბარების დროს (პირდაპირ და დაგვიანებულ ჩაბარების პერიოდებს), ვნახავთ რამდენად დამახასიათებელი ნიშან-თვისებები აქვს ამა თუ იმ სისტემას ხელმისაწვდომობის ჭრილში. ქვეყანათა მცირე ჯგუფში - ისლანდიაში, მალტასა და ნორვეგიაში - უმაღლესი განათლების სისტემები შესაძლებელია მივიჩნიოთ ძალიან მოქნილად ორივე ასპექტის, როგორ და როდის აბარებენ სტუდენტები უსდ-ში, თვალსაზრისით. ამ ქვეყნებში შედარებით დიდია იმ სტუდენტების წილი, რომლებიც იყენებენ ალტერნატიული წვდომის გზებს, და ასევე დიდია იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც უსდ-ში დაგვიანებით აბარებენ. ამის საპირისპიროდ, ფიგურის ქვედა მარცხენა კვადრატში არსებული ქვეყნების უფრო დიდ ჯგუფში, ორივე ტიპის სტუდენტური ჯგუფის წილი შედარებით დაბალია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარება მიიღწევა ჩვეულებრივი წვდომის გზებით და სკოლის დამთავრების შემდეგ შედარებით სწრაფად.

უსდ-ში მოხვედრის გზების მოქნილობა

მოხვედრის ალტერნატიული გზები (X ღერძი) და დაგვიანებით უსდ-ში ჩაბარება (Y ღერძი) (სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი)





სტუდენტების ანაზღაურებადი სამუშაო

სტუდენტური ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სწავლა. საშუალოდ, „ევროსტუდენტის“ ქვეყნებში სტუდენტების 60% -ზე ოდნავ ნაკლები სტუდენტი მუშაობს სწავლის პარალელურად. დასაქმებულ სტუდენტთა ყველაზე დიდი წილი ჰოლანდიაში, ჩეხეთში, ისლანდიასა და ნორვეგიაში ცხოვრობს. ამ ქვეყნებში, საშუალოდ, სტუდენტების მინიმუმ 70% მაინც მუშაობს. შვედეთში, ლუქსემბურგსა და საქართველოში გაცილებით იშვიათია სწავლის და ანაზღაურებადი სამუშაოს შეთავსება - აქ სტუდენტთა 50%-ზე ნაკლებს აქვს ანაზღაურებადი სამუშაო. როგოც წესი, შედარებით ასაკოვანი სტუდენტები უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე ახალგაზრდა სტუდენტები. სტუდენტები, რომლებიც არ ცხოვრობენ მშობლებთან ერთად, უფრო ხშირად მუშაობენ, ვიდრე - მშობლებთან ერთად მცხოვრები სტუდენტები. ანაზღაურებადი სამსახურის მქონე ახალგაზრდების წილი უფრო მაღალია უმაღლესი განათლების ფონის არ მქონე ახალგაზრდებში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ საგანმანათლებლო ფონის არმქონე ახალგაზრდებს უფრო იშვიათად ეძლევათ შესაძლებლობა იყვნენ დამოკიდებულნი ოჯახის შემოსავალზე.

„ევროსტუდენტის“ ქვეყნებს შორის განსხვავება არა მხოლოდ დასაქმებული სტუდენტების რაოდენობაში შეიმჩნევა, არამედ შესრულებული სამუშაოს საათების რაოდენობაშიც. საშუალოდ, ჩვეულებრივ კვირაში სწავლის პეორიოდში სტუდენტები 14 საათს ხარჯავენ ანაზღაურებად სამუშაოზე და 34 საათს - სწავლაზე. სტუდენტების 25%-ზე მეტი საშუალოდ კვირაში 20 საათზე მეტს ხარჯავს ანაზღაურებად სამუშაოზე. ქვეყანათა შორის შედარებისას გაირკვა, რომ ეს წილი შედარებით მაღალია ესტონეთსა და პოლონეთში: ამ ქვეყნებში დასაქმებული სტუდენტების უმეტესობა მუშაობს უფრო დიდხანს, მაშინ როდესაც, მაგ., ნიდერლანდებში სამუშაო ჩვეულებრივი მოვლენაა ყველასთვის, მაგრამ სამუშაო საათების რაოდენობა შედარებით დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ჩვეულებრივ, სტუდენტები, რომლებიც არ სწავლობენ უნივერსიტეტის ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უფრო მეტს მუშაობენ კვირის განმავლობაში, ვიდრე - უნივერსიტეტის სტუდენტები. სასწავლო მიმართულებების მიხედვით შედარებისას „ევროსტუდენტის“ მონაცემები აჩვენებს, რომ ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები საშუალოდ ყველაზე მეტ საათს მუშაობენ კვირაში, ხოლო საბუნებისმეტყველო, მათემატიკისა და სტატისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები - ყველაზე ნაკლებს.

კვირაში საშუალოდ დახარჯული დრო მუშაობაზე
(სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი)





სამუშაოსა და სწავლის შეთავსების მიზეზები

რატომ მუშაობენ სტუდენტები? „ევროსტუდენტის“ სტუდენტებს წარუდგინეს მთელი რიგი შესაძლო მიზეზები და სთხოვეს მიეთითებინათ, რამდენად შესაბამისი იყო ეს მიზეზები მათთვის. სტუდენტთა ნახევარზე მეტი მუშაობს იმისთვის, რომ დაფაროს საკუთარი ხარჯები (70%), ჰქონდეს შესაძლებლობა ისეთი ნივთების შეძენისა, რის ყიდვასაც სხვაგვარად ვერ შეძლებდა (64 %) და რომ მიიღოს სამუშაო გამოცდილება შრომის ბაზარზე (56%). ყოველი მეხუთე სტუდენტი მუშაობს სხვების (შვილების, მეუღლის და ა.შ.) ფინანსური მხარდაჭერისთვის.

სამუშაოსა და სწავლის შეთავსება ყოველთვის არჩევანი არ არის. ყოველი მეორე სტუდენტი (50 %) საერთოდ ვერ შეძლებდა სწავლას, თუ მათ არ ექნებოდათ ანაზღაურებადი სამუშაო სწავლის დასაფინანსებლად. „ევროსტუდენტის“ ქვეყნებში, სტუდენტების წილი, რომლებმაც სამუშაოს და სწავლის შეთავსების მიზეზი ახსნეს იმით, რომ მათ არ ექნებოდათ სწავლის საშუალება ანაზღაურებადი სამუშაო(ებ)ი-ს გარეშე, მაღალია (60%-ზე მეტი) ისლანდიაში, ირლანდიაში, ნორვეგიასა და მალტაში, და შედარებით დაბალია (დაახ. 30%) შვედეთსა და ჩეხეთში. გამონაკლისი მხოლოდ ლუქსემბურგია, იქ მუშაობის მიზეზი დაკავშირებულია დასაქმებული სტუდენტების საგანმანათლებლო ფონთან. საგანმანათლებლო ფონის არმქონე სტუდენტები მუშაობის მიზეზად სწორედ საგანმანათლებლო ფონის არქონას ასახელებენ. ზოგიერთ ქვეყანაში მშობელთა საგანმანათლებლო ფონის გავლენა მუშაობის აუცილებლობაზე უფრო დაბალია. ნორვეგიაში, დანიასა და საქართველოში განსხვავებები სხვადასხვა განათლების მქონე სტუდენტებს შორის უფრო მცირეა, ვიდრე - პოლონეთში, უნგრეთსა და ხორვატიაში. გარდა ამისა, ასაკოვანი სტუდენტები მუშაობის მთავარ მიზეზად სწავლის თანადაფინანსებას ასახელებენ. მათ სჭირდებათ მუშაობა იმისთვის, რომ დაიფინანსონ სწავლა.

მუშაობა სწავლის დასაფინანსებლად

სრული თანხმობა დებულებაზე: „ჩემი ანაზღაურებადი სამუშაოს გარეშე ვერ შევძლებდი სწავლის საფასურის გადახდას“ (სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი)



სირთულეები სამუშაო ვალდებულებების გამო



სწავლის პარალელურად მუშაობა ამცირებს სწავლისთვის განკუთვნილ დროს, რამაც შეიძლება სირთულეები შეუქმნას სტუდენტებს სწავლის ორგანიზებაში და ასევე, შესაძლებელია, უარყოფითად იმოქმედოს მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

„ევროსტუდენტის“ გამოკითხვა იკვლევს იმასაც თუ რამდენად აწყდებიან სირთულეებს სწავლაში დასაქმებული სტუდენტები. საშუალოდ, სტუდენტების 17% განიცდის სირთულეებს სწავლისას ანაზღაურებადი სამუშაოს ვალდებულებების გამო. განსაკუთრებით ზარალდებიან ის სტუდენტები, რომლებიც კვირაში 20 საათზე მეტს მუშაობენ: სირთულეების მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 40% ასეთი სტუდენტია. ესტონეთში, პოლონეთში, ისლანდიაში, ხორვატიასა და ირლანდიაში იმ სტუდენტების ნახევარზე მეტი, რომლებიც კვირაში 20 საათზე მეტს მუშაობენ, აცხადებენ, რომ აწყდებიან სირთულეებს სწავლაში მათი ანაზღაურებადი სამუშაოს გამო. მეორეს მხრივ, ჩეხეთსა და საქართველოში კვირაში 20 საათზე მეტხანს მომუშავე სტუდენტების მხოლოდ მეოთხედი აწყდება ამ პრობლემებს. სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ იმის გამო, რომ სხვაგვარად ვერ იქნებოდნენ სტუდენტები, არაპროპორციულად ხშირად აღნიშნავენ, რომ განიცდიან სირთულეებს სწავლაში თავიანთი სამსახურის გამო.

სირთულეები სწავლისა და სამსახურის შეთავსებისას

სავალდებულო სამსახურით გამოწვეული მიმდინარე სირთულეების შეფასება
(სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი)



სტუდენტთა შემოსავლის კომპოზიცია



სტუდენტთა შემოსავალი სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება. მაკრო პერსპექტივიდან ქვეყანათაშორისი ანალიზი აჩვენებს, რომ სტუდენტები შემოსავლის მესამედს ოჯახისაგან ან პარტნიორისაგან იღებენ, ორ მეხუთედზე მეტს საკუთარი შრომით, მეათედზე მეტს ეროვნული სტუდენტური დახმარებიდან და მეათედზე ნაკლებს სხვა წყაროებიდან. მხოლოდ ერთ ქვეყანაში - შვედეთში - სტუდენტთა შემოსავლების მთავარი წყაროს ეროვნული სახელმწიფო სტუდენტური მხარდაჭერა წარმოადგენს.

კვლევა აჩვენებს, რომ სტუდენტების შემოსავლების სტრუქტურა ასაკთან ერთად იცვლება: რაც უფრო მეტია ასაკი, მით უფრო იკლებს ოჯახზე ან ეროვნულ სტუდენტურ დახმარებაზე დამოკიდებულება. ამავდროულად, იზრდება საკუთარი შრომით მოპოვებული შემოსავალი და შემოსავლის სხვა წყაროები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განსხვავებები საგანმანათლებლო ფონის მიხედვითაც: საგანმანათლებლო ფონის მქონე სტუდენტები უფრო მეტ დახმარებას იღებენ ოჯახისა და პარტნიორისგან, ვიდრე - ისინი, ვის მშობლებსაც უმაღლესი განათლება არ აქვთ (ქვეყანათაშორისი მონაცემებით 10%-ია ასეთ სტუდენტების შემოსავლების წყაროებს შორის განსხვავება). საპირისპიროდ, საგანმანათლებლო ფონის მქონე სტუდენტები ნაკლებ შემოსავალს იღებენ დასაქმებიდან (განსხვავება: 8%) და სოციალური დახმარებიდან, ვიდრე - ის სტუდენტები, ვისაც საგანმანათლებლო ფონი არ აქვთ.

ეროვნული სტუდენტური დახმარების მქონე სტუდენტები
(სტუდენთა პროცენტული მაჩვენებელი)





ფინანსური სირთულეები

თუ სტუდენტის შემოსავალი და ხარჯები არ არის დაბალანსებული, შეიძლება წარმოიშვას ფინანსური სირთულეები. საშუალოდ „ევროსტუდენტის“ ქვეყნებში, სტუდენტების მეოთხედი (25%) აცხადებს, რომ ამჟამად განიცდის სერიოზულ ან ძალიან სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს. „ევროსტუდენტის“ ქვეყნებში ასეთი პრობლემები და გამოწვევები მერყეობს 17%-დან 35% -მდე.

ზოგიერთი სტუდენტური ჯგუფები უფრო მეტად განიცდიან ფინანსურ პრობლემებს, ვიდრე სხვები: ქვეყანათაშორისი მონაცემებით, სტუდენტების ნახევარზე მეტი, რომლებიც თავიანთ ოჯახს ფინანსურად არასტაბილურად აფასებენ, ამბობენ, რომ განიცდიან ფინანსურ სირთულეებს. სხვა ჯგუფები, რომლებიც განიცდიან (ძალიან) მძიმე ფინანსურ სირთულეებს არიან: 25-დან 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში არსებული სტუდენტები, დაბალი საგანმანათლებლო ფონის მქონე სტუდენტები, სტუდენტები, რომლებმაც უსდ-ში დაგვიანებით/შეფერხებით ჩააბარეს და საერთაშორისო სტუდენტები. რაც შეეხება სასწავლო მიმართულებების მიხედვით გადანაწილებას, ფინანსურ სირთულეებს ყველაზე მეტად განიცდიან ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტები. სერიოზული ფინანსური პრობლემების მქონე სტუდენტების რაოდენობიდან ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების წილი დაახლოებით მესამედია.

ფინანსური სირთულეები

სტუდენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ძალიან სერიოზული ფინანსური სირთულეების წინაშე დგანან. (სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი)



საცხოვრებელი ხარჯების ტვირთი



საცხოვრებელი ხარჯები, როგორც წესი, სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დანახარჯია. ფინანსური პრობლემების მიზეზთა საცხოვრებელი ხარჯების ტვირთის შეფასების თვალსაზრისით გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ ფინანსური პრობლემების მქონე სტუდენტების შემოსავლის დაახ. 40% საცხოვრებელ ხარჯებში მიდის. ქვეყანათაშორისი შედარების შედეგად საცხოვრებელი ხარჯების პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით 22%-დან 51%-მდე მერყეობს. საერთაშორისო პროცენტული წილი კი 36%-ია.

სტუდენტთა საცხოვრებელის სხვადასხვა ფორმების შედარება გვიჩვენებს, რომ სტუდენტებს, რომლებიც ცხოვრობენ საზიარო ფართში (მაგ., მეგობრებთან ერთად) ყველაზე ხშირად აწუხებთ საცხოვრებელი ხარჯების გადაჭარბებული ტვირთი („ევროსტუდენტის“ ქვეყნების მასშტაბით საშუალოდ ნახევარზე მეტი სტუდენტი აღნიშნავს ამას). საცხოვრებელი ხარჯები მძიმე ტვირთად აწევს მარტო მცხოვრები სტუდენტების ორ მეხუთედზე მეტს. მსგავს პრობლემას აწყდებიან ის სტუდენტებიც კი, ვინც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ, რომელიც რეალურად წარმოადგენს ყველაზე იაფ საცხოვრებელ ადგილს მშობლიური სახლის შემდეგ. ასეთი სტუდენტების წილიც ორ მეხუთედზე მეტია. ოჯახის გარეთ მცხოვრები ყველა სტუდენტის საერთო რაოდენობიდან, სტუდენტები, რომლებიც ბავშვთან ან პარტნიორთან ერთად ცხოვრობენ, ყველაზე ნაკლებად აწყდებიან საცხოვრებელი ხარჯების დაფარვის პრობლემებს, თუმცა მათგან ორი მეხუთედზე ნაკლები მაინც დგას ამ პრობლემის წინაშე. სტუდენტების ფინანსებთან დაკავშირებული მახასიათებლების კვლევისას ირკვევა, რომ იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც ოჯახის/პარტნიორის დახმარებაზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვნად დიდია (50%-ზე მეტია) იმ სტუდენტთა წილი, ვინც ყოველთვიური შემოსავლის სულ მცირე 40% -ს ხარჯავს საცხოვრებელზე.

საცხოვრებელი ხარჯებით გამოწვეული პრობლემები

სტუდენთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა შემოსავლის 40%-ზე მეტი საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად გამოიყენება.



ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში არსებული სოციალური განზომილების ინდიკატორები ოთხი ძირითადი მიმართულებით: სტუდენტების დემოგრაფიული და სოციალური სფერო, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა და სკოლიდან უსდ-ში გადასვლის პერიოდის ხანგრძლივობა, სტუდენტთა დასაქმება და სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობა. რა ხარისხით შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა წარსულის მქონე სტუდენტების სწავლა უსდ-ში? რამდენად ღია და სტუდენტებზე მორგებულია ევროპის უმაღლესი განათლების სისტემა? რამდენად ხელმისაწვდომია იგი განსხვავებული წარსული გამოცდილების მქონე და განსხვავებულ ცხოვრების ეტაპზე მყოფი სტუდენტებისთვის? რა გარემოში უწევთ სტუდენტებს სწავლა და რას აკეთებენ იმისთვის, რომ ფინანსურად იმდენად სტაბილურად იყვნენ, რომ დაფარონ ყოველდღიური ხარჯები? ბოლოს, „ევროსტუდენტის“ მონაცემები ასევე აჩვენებს სტუდენტების დროის ბიუჯეტს, დასაქმებას, რა ფინანსურ წინააღმდეგობებს აწყდებიან ევროპის უმაღლეს განათლებაში სტუდენტები და რამდენად მოწყვლადია სტუდენტთა სხვადასხვა ქვე-ჯგუფები.

წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება „ევროსტუდენტის“ გამოკითხვებს, რომელიც ევროპის 18 ქვეყანაში ჩატარდა 2019 წელს.